

შპს „რძის გზა“

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად
მომზადებული ფინანსური
ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

ოგადი ინფორმაცია

შპს „რძის გზა“-ს (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კომპანია დაარეგისტრირა 2021 წლის 28 თებერვალს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო 443123193. დღგ-ს გადამხდელია 2021 წლის 28 თებერვლიდან;

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის წილს ფლობდა სერგო ჯიმშელიშვილი 01011009855 -100%.

2023 წლის პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო კახაბერ თალაკვაძე, 01019006913.

კომპანიის ძირითადი სამეწარმეო საქმიანობას 2023 წელს წარმოადგენს რძისა და რძის პროდუქტების წარმოება და შემდგომ რეალიზაცია.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, ქალაქი წალკა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს)“, (მე-3 კატეგორიის საწარმოების შეღავათის გათვალისწინებით) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსი იყო:

	2023	2022
1USD/GEL	2.6894	2.7020
1EUR/GEL	2.9753	2.8844

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უარის შეფასებისას ხელმძღვანელობამ

გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები.

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები:

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულებების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების კონვერტაცია.

კომპანიის სამუშაო ვალუტა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები ასახულია ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, შრომითი და სხვა ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებას, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად,

კომპანიის ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას მაშინ ამატებს მისი შემცვლელი ნაწილების თვითღირებულებას, როდესაც მოხდება დანახარჯების გაწევა, თუ მოსალოდნელია, რომ შემცვლელი ნაწილი კომპანიას მომავალში მოუტანს სარგებელს. შემცვლელი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. სარემონტო და ტექმომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დანახარჯები გაიწვა.

აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება რომ აქტივის თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ წრფივი მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება შემოსულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების
	ვადა
შენობა-ნაგებობები	15-20 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
მანქანა-მოწყობილობები	5-10 წელი
ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სხვა	5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო სააღრიცხვო თარიღის შემდგომ.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სესხებად და მოთხოვნებთან მიმართებაში.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები:

კომპანია სესხებსა და მოთხოვნებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის იმ თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი, რომელიც შექმნილია ან რომელსაც ფლობს კომპანია, აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს საღაროში და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

მარაგები.

მარაგები ასახულია თვითღირებულებასა და გაყიდვების დანახარჯებით შემცირებულ, შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს შესყიდვის და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგის ადგილამდე ტრანსპორტირებისა და ახლანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სავაჭრო ვალდებულება.

სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის განცხადებული კაპიტალის ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამონაგების აღიარება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმი: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაზიდვის მომსახურება, ხოლო დამხმარე საქმიანობაა სასტუმროს მომსახურება და ფართების გაქირავება. შესაბამისად შემოსავალი ჩაშლილია სახეების მიხედვით და აღირიცხება რეალიზაციის ქვეანგარიშებზე.

რეალიზაციის თანხების ასახვა წლის ბოლოს წარმოებს მოგება-ზარალის ანგარიშზე. მიეკუთვნება იმ პერიოდზე როდესაც მოხდა მისი გამომუშავება თანახმად რეალიზაციის პრინციპით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თ ა ნ ხ ე ბ ი მ ო ც ე მ უ ლ ი ა ლ ა რ შ ი)	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1	92,538	624,981
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	454,837	151,960
სხვა პირებზე ავსებსებად გაცემული სახსრები		69,329	85,389
<u>მარაგები</u>	<u>3</u>	<u>778,708</u>	<u>582,965</u>
		1,395,412	1,445,295
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,376,031	2,204,502
		2,376,031	2,204,502
მთლიანი აქტივები		3,771,443	3,649,797
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	151,485	260,339
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		3,000	-
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	6	1,210,717	1,292,774
საგადასახადო ვალდებულებები		22,633	39,704
		1,387,835	1,592,817
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	6	2,228,897	2,644,883
		2,228,897	2,644,883
მთლიანი ვალდებულებები		3,616,732	4,237,700
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		50,000	50,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		104,711	(637,903)
		154,711	(587,903)
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,771,443	3,649,797

შპს „რძის გზა“-ს დირექტორი

მარიამ ელბაქიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების	1	92,538	624,981
კვეთვალენტები	2	454,837	151,960
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		69,329	85,389
სხვა პირებზე ავანსებად გაცემული სახსრები	3	<u>778,708</u>	<u>582,965</u>
მარაგები		1,395,412	1,445,295
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,376,031	2,204,502
		2,376,031	2,204,502
მთლიანი აქტივები		3,771,443	3,649,797
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	151,485	260,339
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		3,000	-
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	6	1,210,717	1,292,774
საგადასახადო ვალდებულებები		22,633	39,704
		1,387,835	1,592,817
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	6	2,228,897	2,644,883
		2,228,897	2,644,883
მთლიანი ვალდებულებები		3,616,732	4,237,700
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		50,000	50,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		104,711	(637,903)
		154,711	(587,903)
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,771,443	3,649,797

შპს „რძის გზა“-ს დირექტორი

მარიამ ელბაქიძე



შპს „რძის გზა“-ს დირექტორი

მარიამ ელბაქიძე

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თ ა ნ ხ ე ბ ი მ ო ც ე მ უ ლ ი ა ლ ა რ შ ი)	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	7	6,732,578	3,194,457
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4,440,319)	(2,735,360)
საერთო მოგება		2,292,259	459,097
სხვა შემოსავლები	8	39,621	292,171
მიწოდების დანახარჯები	9	(150,618)	(76,891)
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	(470,790)	(312,192)
იჯარის ხარჯი		-	(2,485)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(234,320)	(138,073)
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		(3,465)	(9,445)
ც ვ ე თ ა / ა მ ო რ ტ ი ზ ა ც ი ი ს ხ ა რ ჯ ი		(327,269)	(252,102)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		-	441
საოპერაციო მოგება		1,145,418	(39,479)
ფინანსური ხარჯი	12	(402,804)	(314,220)
მოგება დაბეგვრამდე		742,614	(353,699)

შპს „რძის გზა“-ს დირექტორი

მარიამ ელბაქიძე

შპს „რძის გზა“-ს დირექტორი

მარიამ ელბაქიძე

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	7	6,732,578	3,194,457
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4,440,319)	(2,735,360)
საერთო მოგება		2,292,259	459,097
სხვა შემოსავლები	8	39,621	292,171
მიწოდების დანახარჯები	9	(150,618)	(76,891)
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	(470,790)	(312,192)
იჯარის ხარჯი		-	(2,485)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(234,320)	(138,073)
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		(3,465)	(9,445)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		(327,269)	(252,102)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		-	441
საოპერაციო მოგება		1,145,418	(39,479)
ფინანსური ხარჯი	12	(402,804)	(314,220)
მოგება დაბეგვრამდე		742,614	(353,699)

შპს „რძის გზა“-ს დირექტორი

მარიამ ელბაქიძე



**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის**

(თ ა ნ ხ ე ბ ი მ ო ც ე მ უ ლ ი ა ლ ა რ შ ი)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2021	20,000	(284,204)	(264,204)
კაპიტალის გაზრდა	30,000		30,000
პერიოდის მოგება		(353,699)	(353,699)
ნაშთი 31.12.2022	50,000	(637,903)	(587,903)
პერიოდის მოგება		742,614	742,614
ნაშთი 31.12.2023	50,000	104,711	154,711

შპს „რძის გზა“-ს დირექტორი

მარიამ ელბაქიძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2021	20,000	(284,204)	(264,204)
კაპიტალის გაზრდა	30,000		30,000
პერიოდის მოგება		(353,699)	(353,699)
ნაშთი 31.12.2022	50,000	(637,903)	(587,903)
პერიოდის მოგება		742,614	742,614
ნაშთი 31.12.2023	50,000	104,711	154,711

შპს „რძის გზა“-ს დირექტორი

მარიამ ელბაქიძე

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ფული ეროვნულ ვალუტაში	92,507	86,202
ფული უცხოურ ვალუტაში	31	538,779
სულ	92,538	624,981

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	307874	110977
სხვა მოთხოვნები გარანტიები	146,963	40,983
სულ	454,837	151,960

სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული.

შენიშვნა 3

მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
ნედლეული და მასალები	372,004	298,437
დამხმარე მასალები	287,979	108,600
მზა პროდუქცია	63,337	99,912
სარემონტო და სამშენებლო მასალები	-	23,930
სხვა მარაგები	55,388	52,086
სულ	778,708	582,965

შენიშვნა: 4
ბირითადი
საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებული მშენებლობა	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ელ. მოწყობი ლობები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	9,427	-	942600	836,642	-	1,300	7,454	20,000	8,128	1,825,551
შემოსვლა		42,958		626,670	559	3,229	1,831	73,721	13,640	762,608
გასვლა უკან დაბრუნება				(3,800)						(3,800)
2022 წლის 31 დეკემბერი	9,427	42,958	942,600	1,459,512	559	4,529	9,285	93,721	21,768	2,584,359
შემოსვლა	-	108,848	151,806	304,614	4,107	17,205	5,534	55,565	2,925	650,604
გასვლა	-	(151,806)								(151,806)
2023 წლის 31 დეკემბერი	9,427	-	1,094,406	1,764,126	4,666	21,734	14,819	149,286	24,693	3,083,157

დაგროვილი
ცვლა

2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	(27,492)	(97,704)	-	(184)	(870)	(1,000)	(948)	(128,198)
წლის ცვლა			(47,130)	(190,036)	(28)	(529)	(1,716)	(9,587)	(3,076)	(252,102)
გასვლის შედეგად				443						443
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	(74,622)	(287,297)	(28)	(713)	(2,586)	(10,587)	(4,024)	(379,857)
წლის ცვლა			(48,191)	(249,905)	(386)	(1,908)	(2,073)	(19,823)	(4,983)	(327,269)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	(122,813)	(537,202)	(414)	(2,621)	(4,659)	(30,410)	(9,007)	(707,126)

ნეტო
საბალანსო
ღირებულება

2021 წლის 31 დეკემბერი	9,427	-	915,108	738,938	-	1,116	6,584	19,000	7,180	1,697,353
2022 წლის 31 დეკემბერი	9,427	42,958	867,978	1,172,215	531	3,816	6,699	83,134	17,744	2,204,502
2023 წლის 31 დეკემბერი	9,427	-	971,593	1,226,924	4,252	19,113	10,160	118,876	15,686	2,376,031

შენიშვნა 5**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	130,825	256,591
მიღებული ავანსები	20,660	3,748
სულ	151,485	260,339

შენიშვნა 6**მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი**

მოკლევადიანი სესხები	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები	596,862	651,035
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	613,855	641,739
სულ მოკლევადიანი სესხები	1,210,717	1,292,774
 გრძელვადიანი სესხები	 31.12.2023	 31.12.2022
გრძელვადიანი სესხები	2,228,897	2,644,883
სულ გრძელვადიანი სესხები	2,228,897	2,644,883

ჯგუფის გრძელვადიან სესხებს წარმოადგენს ბანკებისგან მიღებული სესხები, კერძოდ სს „თიბისი ბანკი“-დან რომლებიც დენომინირებული დოლარში და ლარში. საპროცენტო განაკვეთი დოლარში დენომინირებულ სესხებზე შეადგენს წლიურ 9%-ს, ხოლო ლარში დენომინირებულ სესხებზე წლიურ 10.74% დან 14 %-ს. ნაწილი სესხის დაფარვის ვადაა 2029 წლის მარტის ჩათვლით. , ხოლო მეორე ნაწილის 2035 წლის აპრილის ჩათვლით. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით და კომპანიის არსებული და სამომავლო მოძრავი ქონებით.

შენიშვნა 7**ამონაგები**

	2023 წელი	2022 წელი
საქონლის რეალზაციიდან მიღებული ამონაგები	6,732,578	3,194,457
სულ	6,732,578	3,194,457

შენიშვნა 8**სხვა შემოსავლები**

	2023 წელი	2022 წელი
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	39,503	4,783
კომპესაციის თანხა	-	287,340
სხვა	118	-
სულ	39,621	292,123

შენიშვნა 9**მიწოდების ხარჯები**

	2023 წელი	2022 წელი
შეფუთვა, შენახვის და ტრანსპორტირების ხარჯი	(113,006)	(57,686)
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი	(3,376)	(300)
საექსპერტო და ლაბორატორიის ხარჯი	(33,267)	(17,752)
მიწოდების სხვა ხარჯები	(969)	(1,153)
სულ	(150,618)	(76,891)

შენიშვნა 10**დასაქმებულთა ანაზღაურება**

	2023 წელი	2022 წელი
შრომის ანაზღაურება	(461,986)	(306,374)
საპენსიო ანარიცხები კომპ. 2%	(8,804)	(5,818)
სულ	(470,790)	(312,192)

შენიშვნა 11

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2023 წელი	2022 წელი
კომუნალური ხარჯი	(115,215)	(61,783)
საკანცელარიო და საოფისე ინვენტარი	(1,000)	(1,298)
ჰიგიენა და დეზინფექცია	(18,619)	(4,761)
საბანკო ხარჯი	(3,328)	(5,926)
დაზღვევა	(14,493)	(7,536)
დაცვის ხარჯი	(2,153)	(1,659)
კომუნიკაციის ხარჯი	(978)	(1,000)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(7,269)	(11,067)
მიმდინარე რემონტის ხარჯები	(51,214)	(17,293)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(20,051)	(25,750)
სულ	(234,320)	(138,073)

შენიშვნა 12

ფინანსური დანახარჯები

	2023 წელი	2022 წელი
საპროცენტო ხარჯი	(402,804)	(314,220)
სულ ფინანსური დანახარჯები	(402,804)	(314,220)

შენიშვნა 13

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია სერგო ჯიმშელიშვილი 01011009855; 2023 წლის განმავლობაში კომპანიის დირექტორი იყო კახაბერ თალაკვაძე 01019006913. კომპანიაში ასევე დასაქმებულია და ჩართულია მართველობაში სერგო ჯიმშელიშვილი 01011009855; საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ოპერაციას წარმოადგენდა ის რომ დამფუძნებლიდან აღებულია მოკლევადიანი სესხი რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 596862 ლარს.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული
ანაზღაურება

	2023 წელი	2022 წელი
შრომის ანაზღაურება მთლიანად	105,974	75,383
სულ	105,974	75,383

შენიშვნა 14

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში მოხდა კომპანიაში დირექტორის ცვლილება და დაინიშნა მარიამ ელბაქიძე, 01011009854. კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დამატებით აიღო და აითვისა 200000 აშშ დოლარის და 90000 ევროს სესხები. ამასთან იგი განაგრძობდა არსებული სესხების დაფარვას გრაფიკის მიხედვით.

15. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიამ აღმოაჩინა მნიშვნელოვანი შეცდომები 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც გამოწვეული იყო საბუღალტრო პროგრამის გაუმართაობით (ტექნიკური ხარვეზით). ასევე 2022 წლის ანგარიშგებაში გრძელვადიანი სესხებიდან გამოყოფილი არ იყო მიმდინარე (მოკლევადიანი) ნაწილი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოხდინა ფინანსური ანგარიშგების ცალკეული ელემენტების კორექტირება და რეკლასიფიკაცია. კორექტირებებმა და რეკლასიფიკაციამ შემდეგი გავლენა მოახდინა კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და ამავე წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე.

ეფექტი 2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

2022 წლის 31 დეკემბერი	წინა ანგარიშგების მიხედვით	კორექტირება/რეკლასიფიკაცია	2022წ 31 დეკემბრის კორექტირებული ანგარიშგების მიხედვით
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	632,647	(7,666)	624,981
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	113,436	38,524	151,960
სხვა პირებზე ავსებად გაცემული სახსრები	68,489	16,900	85,389
მარაგები	505,449	77,516	582,965
სხვა მოკლევადიანი აქტივები	100,575	(100,575)	-
ძირითადი საშუალებები	2,270,218	(65,716)	2,204,502
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	201,133	59,206	260,339
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები	488,865	803,909	1,292,774
საგადასახადო ვალდებულებები	-	39,704	39,704
გრძელვადიანი სესხები	3,288,093	(643,210)	2,644,883
აკუმულირებული მოგება/ზარალი	(337,277)	(250,626)	(587,903)

ეფექტი 2022 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე

2022 წლის 31 დეკემბერი	წინა ანგარიშგების მიხედვით	კორექტირება/რეკლასიფიკაცია	2022წ 31 დეკემბრის კორექტირებული ანგარიშგების მიხედვით
ამონაგები	3,194,767	(310)	3,194,457
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,512,569)	(222,791)	(2,735,360)
სხვა შემოსავლები	287,340	4,831	292,171
მიწოდების დანახარჯები	-	(76,891)	(76,891)
დასაქმებულთა ანაზღაურება	(304,489)	(7,703)	(312,192)
იჯარის ხარჯი	-	(2,485)	(2,485)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(203,569)	65,496	(138,073)
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან	-	(9,445)	(9,445)
ც ვ ე თ ა / ა მ ო რ ტ ი ზ ა ც ი ი ს ხ ა რ ჯ ი	(198,617)	(53,485)	(252,102)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	-	441	441
არაფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	(1,962)	1,962	-
ფინანსური ხარჯი (საპროცენტო)	(313,974)	(246)	(314,220)
მოგება/ზარალი	(53,073)	(300,626)	(353,699)